

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო აცხადებს ღია კონკურსს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.
2. გენერალური დირექტორობის კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი.
3. გენერალური დირექტორობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის სულ ცოტა 3 წლისა და ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლისა.
4. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსი ჩატარდება ორ ტურად.
5. პირველი ტურისთვის ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განცხადება (საკონტაქტო მონაცემების მითითებით) სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს სახელზე და შემდეგი დოკუმენტები:
 - 5.1 წინამდებარე განცხადების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები;
 - 5.2 CV (როგორც ქაღალდის ვერსია, ასევე, ელექტრონული ფორმატი);
 - 5.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 5.4 ცნობა იმის შესახებ, რომ არ იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;
 - 5.5 სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა;
 - 5.6 სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
 - 5.7 ხელწერილი, რომ კანდიდატი გაეცნო „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კანონს, კერძოდ, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.
6. გენერალური დირექტორობის კანდიდატებმა წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კანცელარიაში შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #68, 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით. განცხადებები მიიღება ყოველ დღე, სამუშაო დღეებში 09:30 საათიდან 18:30 საათამდე, ხოლო, უქმე და დასვენების დღეებში - 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.
7. იმ შემთხვევაში, თუ გენერალური დირექტორობის კანდიდატი არ წარმოადგენს ან/და არასრულყოფილად წარმოადგენს წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო მას დაუდგენს ხარვეზს, რომელიც გამოსწორებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, პირი არ დარეგისტრირდება კანდიდატად და შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკურსში.
8. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და შერჩევის საფუძველზე, გამოვლინდებიან მე-2 ტურში გასული კანდიდატები.

9. მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გაიმართება გასაუბრება. გასაუბრების შედეგად გამოვლინდება გამარჯვებული კანდიდატი.
10. მე-2 ტურის დანიშვნის ვადა, ასევე, 1-ლი და მე-2 ტურის შედეგები სამეურვეო საბჭოს მიერ გამოცხადდება დამატებით.
11. იმ შემთხვევაში, თუ დადგენილ ვადაში არც ერთი კანდიდატის მიერ არ იქნება წარმოდგენილი წინამდებარე განცხადების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად და სამეურვეო საბჭო გენერალური დირექტორის დანიშვნასთან დაკავშირებით ღია კონკურსს ხელახლა გამოაცხადებს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.
12. წინამდებარე განცხადება და ინსტრუქცია კონკურსის შესაბამისად სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ განთავსდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე. წინამდებარე განცხადება ასევე განთავსდეს გაზეთ “24 საათში“.

ემზარ გოგუაძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე